კონსტრუქციული დასკვნა

საპროექტო ობიექტი:
ქ. თბილისი, მთაწმინდა, 8 მარტის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ 01.15.05.004.092) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საგანი:
მომიჯნავე შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება მშენებლობის პროცესში

საპროექტო ნაკვეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება საკადასტრო კოდით №01.15.05.004.058 (ქ. თბილისი, ქუჩა 8 მარტი №30) რეგისტრირებული მომიჯნავე ნაკვეთი, სადაც ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით ტერიტორიაზე რეგისტრირებულია საკადასტრო ნუმერაციებით 01/1, 02/1 და 03/1 შენობა-ნაგებობები. არსებული შენობის საძირკველი ლენტური ტიპისაა, სვეტები ლითონის, ხოლო იატაკი რკინა-ბეტონის. შენობაზე არ აღინიშნება მკვეთრი სახის დეფორმაციების კვალი. ამ შენობებთან არ ხდება ქვაბულის ჩაჭრა და საძირკვლების დაახლოვება.

საპროექტო ტერიტორიას დასავლეთიდან ესაზღვრება საკადასტრო კოდებით №01.15.05.004.018, №01.15.05.004.094 და №01.15.05.004.074 მიწის ნაკვეთებზე განლაგებული შენობა-ნაგებობები. აღნიშნულ ზონაში ძირითადი კლდოვანი ქანები წარმოდგენილია რელიეფის ზედაპირთან ახლოს.

საპროექტო შენობას სამხრეთიდან ესაზღვრება ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.15.05.004.074, რომელზეც წითელ ხაზთან მოშორებით განლაგებულია ეკლესია.

საპროექტო ნაკვეთის რელიეფი ტერასული და უსწორმასწორო ფორმისაა. მასზე მოწყობილია ტერასების დამჭერი მონოლითური რკინაბეტონის საყრდენი კედლები. არქიტექტურული ვერტიკალური გეგმარების მიხედვით ტერიტორიაზე არ მოხდება მიწის დაყრა, ხოლო ახალი შენობების ჩაჭრების ზონები არ უქმნის საფრთხეს წითელ ხაზებთან განლაგებულ არსებულ საყრედენ კედლებს.

მომიჯნავე ნაკვეთებზე განლაგებული შენობები დაფუძნებულია ძირითად ქანებზე. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების და არქიტექტურული გადაწყვეტების საფუძველზე საპროექტო შენობის დაფუძნებაც ხდება ძირითად ქანებზე წერტილოვანი, ცალკემდგომი საძირკვლებით.

ქვაბულის მოსაწყობად მოხდება ძირითადი კლდოვანი ქანების ლოკალური დამუშავება-ჩაჭრა. ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას მუშის ძალა, ან საშუალო სიმძლავრის ტექნიკა. მაგალითად, ე.წ. "კოდალა" უნდა იყოს საშუალო კლასის, დარტყმის ენერგიით არაუმეტეს 2,5 ათასი J (ჯოული).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ახალი მშენებლობის წარმოება არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობა-ნაგებობების მზიდი კონსტრუქციების მდგრადობაზე და მზიდუნარიანობაზე. ამავე დროს ქვაბულის ჩაჭრების სამუშაოების წარმოებისას რეკომენდებულია წითელ ხაზებთან განლაგებული საყრდენი კედლების ხარისხის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში მათი გაძლიერება.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი. ე. წოწერია

თბილისი 02-07-2018